



ოქმი:ო37.37210463

თარიღი:15/02/2021

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლ.საჯაიას  
ანგარიშის მოსმენის სხდომის**

**ოქმი**

2021წელი, 10 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

15.00-15.30 საათი

**თავმჯდომარეობდა:** გიორგი ლურჯუმელიძე-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

**ესწრებოდნენ:** საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები,

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე გ. ლურჯუმელიძე მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს -აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, რომელიც ონლაინ რეჟიმში განხორციელდება, განაცხადა, რომ ლ. საჯაია არის საკრებულოს ერთ-ერთი მუდმივმოქმედი კომისიის, ასევე საკრებულოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე, ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას.

საკრებულოს წევრმა ლ.საჯაიამ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ემუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მის მიერ ამომრჩევლების მიერ დაყენებული კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ქალაქის ტერიტორიაზე განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

ამომრჩევლებმა საკრებულოს წევრის წინაშე დააყენეს რამდენიმე პრობლემატ-კერძოდ-ქ.ოზურგეთში კოსტავას ქუჩაზე არსებული მრავალსართულიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა, უპატრონო ცხოველების თავსესაფრის აგება და სხვა. აღნიშნა ინიცირებულ საკითხზე-მერიის ადმინისტრაციულ შენობაში შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებისათვის ლიფტის მოწყობა.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ ლ.საჯაიას არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. აღინიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის დამაკმაყოფილებლად

შეფასება.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე გ. ღურჯუმიძე, მაღლობა გადაუხადა ლ.საჯაიას აქტიური მუშაობისათვის, ხოლო ამომრჩევლებს მოსვლისა და მხარდაჭერისათვის, განაცხადა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის გ. ღურჯუმიძის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

გიორგი ღურჯუმიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

